სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

N 01-041902

ქ. თბილისი 19 აპრილი 2019 წ.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინე გალდავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „გზა-მშენებელი-13" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაიდა ფაციას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის, მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 თებერვლის N272 განკარგულებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 24 იანვრის N432 განკარგულების საფუძველზე (SMP190000392) შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2019 წლის საკუთარი სახსრებით დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შეასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფილიალში შემავალი ფოთის სერვის ცენტრის საჭიროებისათვის ქ. ფოთში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად (შესყიდვის დანაყოფი-45200000-სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, CPV 45233222- მოკირწყლვისა და მოასფალტების სამუშაოები).

2.2 შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი აღწერა მოცემულია დანართი N1-ში (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთაშორისო ჯამური ღირებულება შეადგენს **15598.28** (თხუთმეტი ათას ხუთასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 28 თეთრი) ლარს.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.3 ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

3.4 შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა მიერ შედგენილი დეფექტური აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს მოაწერს ფოთის სერვის ცენტრის მენეჯერი (მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები).

3.5 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს დღგ-ს ჩათვლით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.6 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ერთეულის ან/და საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2019 წლის საკუთარი სახსრები.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის და დეფექტური აქტის საფუძველზე, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი სამუშაოების მიმდინარეობაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ფოთის სერვის ცენტრის მენეჯერი (მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები).

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6 შესყიდვის ობიექტის პირობები, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასრულებელი სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1–ში (ხარჯთაღრიცხვა) მითითებულ პირობებს.

6.2 სამუშაოების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2019 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. (შეტყობინებად ჩაითვლება ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი ან ოფიციალური წერილი).

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ეტაპობრივად , ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს ფოთის სერვის ცენტრის მენეჯერი (მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები).

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2 "შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) შეასრულოს სამუშაოები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

ბ) უზრუნველყოს სამუშაოების შესრულება ტექნიკური პირობების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს მისი ბრალეულობით „შემსყიდველისთვის'' მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

8 საგარანტიო პირობები

მიმწოდებელის მხრიდან, მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან. აღნიშნული ვადის განმავლობაში საფარის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ განხორციელებული შეტყობინების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში შეაკეთოს დაზიანებული საფარი.

9 პასუხისმგებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,"მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო დ პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები არ არისშესრულებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესმსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შესრულებული სამუშაოების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და შესრულებული სამუშაოების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესმსყიდველის სასარგებლოდ.

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.3 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. დამატებითი პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" **მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველა 76 ბ** **სს „ლიბერთი ბანკი"** **ცენტრალური ფილიალი** **კოდი: 220101480, LIBRTGE22** **ა/ა N GE77LB0113123325230012** **ს/კ 412670097**	**შპს „გზა-მშენებელი-13"** **მის: ქ. ფოთი, მე-7 კილომეტრი №14** **ტელ: 577421413** ელ. ფოსტა: sagzao13@yahoo.com სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" კოდი: UGEBGE22 ა/ა GE07VT 0600 0000 0215 3605 ს/კ 215103091
ეკატერინე გაღლაკა დირექტორი	ირაკლი ფაცაცია დირექტორი

LLC united water supply company of georgia

Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2019.04.19 14:02:32 +04'00'

LTD Gza-msheneb eli-13

Digitally signed by LTD Gza-msheneb eli-13
Date: 2019.04.19 12:31:02 +04'00'

დანართი №1

ქ. ფოთი										
№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		სულ ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამური ფასი	ერთ. ფასი	ჯამური ფასი	ერთ. ფასი	ჯამური ფასი	
ასფალტის საფარის დაგება სისქით 6 სმ-ზე										
1	ასფალტის ზედა ფენა სისქით 6სმ (ბიტუმის იზოლაციის მოწყობა)	მ2	300.00	23.50	7050.00	3.50	1050.00	3.75	1125.00	9225.00
2	10სმ-იანი ქვესაგები ფენის მოწყობა (ფრაქციული ღორღი 0-40მმ-იანით) და არსებული რუნტის დამუშავება, დატკეპნა-გატანა ნაყარში	მ2	300.00	2.72	816.00	3.00	900.00	3.50	1050.00	2766.00
	ჯამი									11991.000
	ზედნადები ხარჯი	ლარი	6%							719.460
	ჯამი	ლარი								12710.460
	გეგმიური დაგროვება	ლარი	4%							508.418
	ჯამი	ლარი								13218.878
	დღგ	ლარი	18%							2379.398
	ჯამი	ლარი								15598.28

„შემსყიდველი"
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

ეკატერინე გალდავა
დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს „გზამშენებელი-13"

ირაკლი ...
დირექტორი

LTD Gza-mshenebeli-13

Digitally signed by LTD Gza-mshenebeli-13
Date: 2019.04.19 12:30:15 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

მოკირწყლვისა და მოასფალტების სამუშაოები

მიმწოდებელი: შპს ,,გზა-მშენებელი-13“

2019 წლის 19 აპრილი N01-041902 ხელშეკრულება

ქ. თბილისი

19 აპრილი 2019 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კომპანიის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ ფილიალში შემავალი ფოთის სერვის ცენტრის საჭიროებისათვის ქ. ფოთში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს მე–8 მუხლის მოთხოვნებს და არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპანიის დირექტორი ეკატერინე გალდავა

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში ირაკლი ურუშაძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ლევან ლატარია

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი: ლაშა ერქომაიშვილი

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი. მზია ნანეტაშვილი